ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 20 მარტი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 12

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. თენგიზ აბაკელია
7. ლევან ქავთარაძე
8. ედიშერ წურწუმია
9. როსტევან გვარამია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

მოწვევით: დავით ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 9 მარტის N04/831 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრის თ. აბაკელიას 2017 წლის 15 მარტის N18/04 განცხადების განხილვა:

1) „ჯემალი ნადარაიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

2) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

3) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

4) „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი).

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 20 მარტის N04/938 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოჯახური პირობების გამო, ბიუროს სხდომას ვერ ესწრება საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე (ტ. ალექსანდრია), გამომდინარე აქედან მოწვეულ იქნა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (დ. ჭოჭუა), რომელიც წარმოადგენს დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3 საკითხს, ხოლო პირველ საკითხს წარმოადგენდა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (გ. სიჭინავა)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 9 მარტის N04/831 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ და საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამკიცების თაობაზე“. სადაც, აღნიშნულია, რომ 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2015 წლის 25 დეკემბერს N30 დადგენილებით და ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაიგეგმა 6644,2 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 13861,7 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 15027,5 ათასი ლარი და იგი შესრულებული იქნა 108,4 %-ით. წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და საფინანსო-სარევიზიო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის წინადადების საფუძველზე მ/წ 21 მარტს ტარდებოდა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრის თ. აბაკელიას 2017 წლის 15 მარტის N18/04 განცხადების განხილვა:

1) „ჯემალი ნადარაიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

2) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

3) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

4) „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი).

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტები: 1) „ჯემალი ნადარაიასთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“; 2) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 3) „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; 4) „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ და კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯემალ ნადარაიას გარდაცვალების გამო, მას ვადამდე უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. ჯ. ნადარაია გაწევრიანებული იყო საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო და სოციალურ საკითხთა კომისიებში, შესაბამისი ცვლილება ხორციელდება წარმოდგენილი განკარგულების პროექტებით ზემო აღნიშნულ კომისიებში. ამასთან ჯ. ნადარაია იყო ფრაქცია „ხობის“ წევრი, რომელიც შედგებოდა სამი წევრისგან, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად, მისმა გარდაცვალებამ გამოიწვია ფრაქციის გაუქმება, რაზედაც სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა პროექტი „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი

პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 20 მარტის N04/938 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: დ. ჭოჭუა- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: მცირდება ბიუჯეტის ხარჯები 178,3 ლარით. კერძოდ: 36,3 ათასი ლარით

მცირდება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ასიგნებები; 114,5 ათასი ლარით - პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებები; 18,0 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „განათლება“ ასიგნებები; 3,0 ათასი ლარით - პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებები; 6,5 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებები. გამონთავისუფლებული 178,3 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 8243,8 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ დადგენილებას დაემატოს შემდეგი რედაქციის 1[1] მუხლი:

„მუხლი 1[1].

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით“.

ასევე დაემატოს შემდეგი რედაქციის მუხლი 2:

„მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“.

კომისიის წინადადებით პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სხვა სახის შენიშვნები არ გააჩნიათ და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის კორექტირებული სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა